MES 3 22 0000544254

25/05/2022

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის11 მაისს, 14:10 საათზე.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. კახა შენგელია - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. გაგა გვენეტაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
4. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
6. გია ლობჟანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
8. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

9. ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს „ვიონი საქართველოს“ პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;
10. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
11. კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. ანა ფირცხალაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

ნინო ალავიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ანი ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო გულიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი:**

   1. **ვაჟა ვარდიძე** - რექტორი;
   2. **დიმიტრი გეგენავა** - პრორექტორი;
   3. **ნინო ქათამაძე** - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
   4. **ნინო წიქვაძე** - ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი;
   5. **თამთა თავართქილაძე** - იურისტი;
   6. **სოფო მეტრეველი** - სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი;

2. ***სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი***

   1. ***გიორგი სოსიაშვილი*** *- რექტორი;*
   2. ***ლევან მიდოდაშვილი*** *- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;*
   3. ***ციური დურული*** *- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;*
   4. ***ლელა ალექსიძე -*** *ფაკულტეტის დეკანი;*
   5. ***ლაურა ელიაური*** *- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;*
   6. ***სოსო ცოტნიაშვილი*** *- პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;*
   7. ***მალხაზ მუმლაძე*** *- პროგრამის თანახელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი.*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

1. **დიანა მჭედლიშვილი;**
2. **ია ნაცვლიშვილი.**

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტზე წარმოდგენილი განაცხადის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· **დიახ**
შუამდგომლობის ინიციატორი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ნინო ალავიძე. მისი შუამდგომლობა ეხებოდა ორი საკითხის განსახილველად დამატებას: შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმზე წარმოდგენილი განაცხადის განხილვა; შპს კავკასიის უნივერსიტეტზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვა.
საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტზე წარმოდგენილი განაცხადის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმზე წარმოდგენილი განაცხადის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვა.

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტზე წარმოდგენილი განაცხადის განხილვა;
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ვინაიდან განმცხადებელი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ განაცხადა, რომ საკითხი იყო ტექნიკური და მხოლოდ ფორმალურ სახეს ატარებდა ადმინისტრაციული წარმოების პროცესი, უნივერსიტეტის სადოქტორო დებულება და პროგრამა შეესაბამებოდა ევროპის ძალიან ბევრი ქვეყნის სტანდარტს, აუცილებელი იყო სადისერტაციო კოლეგიის წევრის წინასწარ თანხმობა ხელმძღვანელობაზე, თუ არ იქნებოდა ასეთი თანხმობა უნივერსიტეტი ვერ ჩაერეოდა აკადემიური პერსონალის თავისუფლებაში და ადმინისტრაცია ვერ დაავალებდა ვინმესთვის ხელმძღვანელობას.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14:15 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 14:18 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 11 მაისის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების, 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ 2022 წლის 21 თებერვლის ბრძანება №174955 საფუძველზე, შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის განხორციელება დაწესებულების მიერ ცენტრში 2021 წლის 10 დეკემბერს №1353250 წერილით წარმოდგენილი „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. მონიტორინგის მიზანი იყო, ინსტიტუციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შეფასება. შეფასდა მესამე, მეოთხე და მეშვიდე სტანდარტი. ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნულ პროცესში დასჭირდა გარკვეული დოკუმენტები, რომლებიც შეუფერხებლად მიაწოდა დაწესებულებამ, მაგ., პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის კუთხით დაწესებულების მიერ გატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჯგუფის ანგარიშები, რომლებიც არ წარმოუდგენიათ, რადგან პროგრამაზე სტუდენტები არ სწავლობენ და სტუდენტების მიღება იგეგმებოდა 2022-2023 წლებში, ამ ეტაპზე დაკვირვების შედეგები დაწესებულებას არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა სწავლობდნენ თუ არა სტუდენტები აღნიშნულ პროგრამაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამას არ ჰყავდა სტუდენტები, პროგრამა ხორციელდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში, მანამდე ფუნქციონირებდა აკრედიტებულ რეჟიმში, თუმცა გადაწყვიტეს ავტორიზებულ რეჟიმში გაგრძელება. ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა ცოცხალი პროცესი და შესაბამისად არ ჰქონდათ წარმოდგენილ დოკუმენტებზე მეტი ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ ეს იყო ქართულენოვანი პროგრამა, რომელიც მოიცავდა 240 კრედიტს, მისანიჭებელი კვალიფიკაცია კი განისაზღვრა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით, მიენიჭებოდა კვალიფიკაცია - მათემატიკის ბაკალავრი და სრულიად შეესაბამებოდა ISCED–F–2013-ის მოთხოვნებს. პროგრამის სტრუქტურა დალაგებული იყო ძირითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალი კომპონენტის მიხედვით, როგორც მოთხოვნაშია გაწერილი მინიმუმ 120 კრედიტი უნდა ყოფილიყო ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი, პროგრამაში გაწერილი იყო სავალდებულო 135 კრედიტი, ხოლო არჩევითი - 20 კრედიტი, შესაბამისად ჯამში 155 აკმაყოფილებდა მოთხოვნას, თავისუფალ კომპონენტს უნდა მოეაზრებინა, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს, რაც ასევე შესრულებული იყო და ჯამში გამოვიდა 85 კრედიტი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სამივე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რეკომენდაციები არ გამოკვეთილა, თუმცა გაიცა ორი რჩევა:

3.3 კომპონენტი:

• სასურველია, კურიკულუმის რუკაში გამოიკვეთოს რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგს - ვინაიდან აკრედიტაციის სახელმძღვანელო მოიაზრებდა ორ პრინციპს: (1) სასწავლო კურსების ბმა სწავლის შედეგებთან უბრალოდ მონიშვნის სახით ხდებოდა; (2) როდესაც უფრო სიღრმისეულად ხდებოდა ინფორმაციის მოწოდება, უფრო მეტად მკაფიო იყო რა დონეზე გადიოდა ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგზე, მაგ., დაბალი, საშუალო, მაღალი, ანუ გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება, არსებობდა ორივე შესაძლებლობა და დაწესებულებას შეეძლო გადაეწყვიტა, თუ რომელი გზით წავიდოდა ამიტომ გაიწერა რჩევად, თუ უნივერსიტეტი გადახედავდა აღნიშნულ პროცესს, მეტად მკაფიოს გახდიდა და დააწესებდა თუ რა დონით გადიოდა კონკრეტული სასწავლო კურსი უკეთესი იქნებოდა პროგრამისთვის და შედეგებზე დაკვირვების პროცესსაც გაამარტივებდა;

7.2 კომპონენტი:

• სასურველია, რიგ სასწავლო კურსებში მოხდეს ძირითადი ლიტერატურის განახლება დარგში არსებული უახლესი გამოცემებით - ვინაიდან პროგრამა სპეციფიკიდან გამომდინარე იყო ფუნდამენტური მეცნიერება და მათემატიკაში კლასიკური ლიტერატურა ისევე აქტუალურია, როგორც თანამედროვე გამოცემები, თუმცა ბუნებრივია ახალი გამოცემებით ჩანაცვლება გააუმჯობესებდა სასწავლო პროცესს, სწორედ ამიტომ გაიწერა აღნიშნული რჩევად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების *სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა*, ციური დურულმა, განაცხადა, რომ როდესაც აღნიშნული უნივერსიტეტი დაარსდა 87 წლის წინ, მათემატიკა მისი ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო, მას შემდეგ ბევრჯერ იცვალა სახე უნივერსიტეტის ორგანიზაციული თავისებურებებიდან გამომდინარე, მაგრამ წლების განმავლობაში ინარჩუნებდა აქტუალობას, თუმცა ბოლო 2-3 წელი მოიკლო სტუდენტების რიცხვმა, გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებლობის უფლება არ ჰქონდათ, ამ ეტაპზე კი ისეც დაბრუნდა და მისი ვარაუდით უნდა გააქტიურებულიყო პროგრამაზე ჩამბარებელთა რიცხვი, 5 წლიანმა საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამების შემოტანამ დაწესებულებას გადააწყვეტინა 5 წლიანი პროგრამის გაკეთება, რომელიც თითქმის მზადაა, მაგრამ მათი მოსაზრებით განსახილველი პროგრამა ისევ იმუშავებდა, რადგან ზემო აღნიშნული ცვლილება იყო მოსალოდნელი. ვინაიდან რეგიონი ძალიან სენსიტიური იყო, ფუნქციონირებდა 50-მდე სკოლა და ძალიან დიდი იყო მოთხოვნა მათემატიკის მასწავლებლებზე, დაწესებულება ურთიერთობდა სკოლებთან, აკეთებდნენ ერთობლივ

კონფერენციებს, სკოლის მასწავლებლები მუდმივად ჩართულნი იყვნენ უნივერსიტეტის ცხოვრებაში და უნივერსიტეტის პერსონალი აქტიურად თანამშრომლობდა სკოლებთან, შესაბამისად, მათემატიკის მასწავლებლებზე მოთხოვნა ძალიან დიდია და უნივერსიტეტს ჰქონდა მოლოდინი, რომ მიმდინარე წელს მართალია ავტორიზებულ რეჟიმში გაიარეს მონიტორინგის პროცესი, თუმცა გეგმავდნენ პროგრამის აკრედიტაციას. მისი თქმით, დაწესებულებას უკვე მომზადებული ჰქონდა პირველი რჩევის შესაბამისი ქმედება, რომელიც ძალაში შევიდოდა პროგრამის გაშვებისთანავე. მეორე რჩევის შესახებ კი განმარტა, რომ პერსონალი მუშაობდა ამ მიმართულებით და განხორციელებული იყო შესაბამისი ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, განაცხადა, რომ ვერ გახსნა უნივერსიტეტის მისია, შესაბამისად დაინტერესდა თუ როგორ იყო ჩამოყალიბებული. დააზუსტა, თუ რამდენი სტატუსშეჩერებული სტუდენტი ჰყავდა პროგრამას და ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს მაგისტრატურა/დოქტორანტურის პროგრამა.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი, დაინტერესდა თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ ავტორიზებულ რეჟიმში პროგრამის განხორციელება, რადგან აკრედიტებულ პროგრამაზე ვრცელდებოდა სახელმწიფოს დაფინანსება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული წარმოების ფარგლებში შეფასდა მხოლოდ მესამე, მეოთხე და მეშვიდე სტანდარტი, შესაბამისად მისია არ შეფასებულა.

დაწესებულების *სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა*, პროგრამის ავტორიზებულ რეჟიმში წარდგენასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ მათი პროგრამების უმრავლესობამ აკრედიტაცია გაიარა 2 წლის წინ, როდესაც აღნიშნულ პროგრამაზე ძალიან იკლო სტუდენტების რაოდენობამ და დაწესებულებამ მუშაობა დაიწყო 5 წლიან ინტეგრირებულ პროგრამაზე. ახალი პროგრამა სააკრედიტაციოდ უნდა შეეტანათ, მაგრამ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორისაც იყო აზრთა სხვადასხვაობა, შესაბამისად, როდესაც იღებდნენ კონსულტაციებს, ძალიან რთული იყო ჩამოყალიბება თუ რამდენად საკმარისი იქნებოდა 2 პროფილით რომ მიენიჭებინათ მასწავლებლის კვალიფიკაცია. იმ პერიოდში უკან გადაიწია 4 წლიანი პროგრამის აკრედიტაციამ, თუმცა, როდესაც საუბარი დაიწყო ცვლილებაზე - 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამის განხორციელებაზე საბაკალავრო პროგრამაში ჩაშენებით, დაწესებულებამ გადაწყვიტა არ დაეკარგა ეს შანსი და ავტორიზაციის გზით შეენარჩუნებინათ პროგრამა. სტატუს შეჩერებული სტუდენტების შესახებ განაცხადა, რომ აღნიშნული სტატუსის მქონე სტუდენტი არ ჰყავთ, რადგან ყველამ დაასრულა ვინც ჩარიცხული იყო. ასევე, განმარტა, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა არ აქვთ.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ მისთვის გულდასაწყვეტია პროგრამაზე სტუდენტების არ არსებობა, დაინტერესდა, რომ თუ კი მიმდინარე წელს დაწესებულება ელოდებოდა სტუდენტებს, რა შეცვალა დაწესებულებამ, ასევე დაინტერესდა, ხომ არ უქმნიდა 300 კრედიტიანი პროგრამა დისკომფორტს სტუდენტებს.

დაწესებულების *სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა*, განაცხადა, რომ 300 კრედიტიანი პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, აკრედიტაციაზეც კი არ შეუტანიათ, თუმცა შემუშავებულია, ახორციელებდნენ მხოლოდ 240 კრედიტიან პროგრამას და იმან, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამას ვეღარ გადიოდნენ სტუდენტები პარალელურად შეამცირა მოთხოვნა აღნიშნულ პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14:46 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 14:49 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

14:50 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა კახა შენგელიამ.
„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, ნინო იმნაძემ.

3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმზე წარმოდგენილი განაცხადის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ.
ვინაიდან განმცხადებელი არ ესწრებოდა სხდომას სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს წარედგინა განსახილველი საკითხი.
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ანი ბილანიშვილმა, განაცხადა, რომ ორივე საკითხთან დაკავშირებით, საუბარი იყო წარმოების შეწყვეტაზე ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, ერთ შემთხვევაში განმცხადებელმა მისწერა ცენტრს დამატებითი წერილი წარმოების შეწყვეტის შესახებ, პირველ წერილში მიუთითებდა რამდენიმე პრობლემის შესახებ: (1) თანხის გადახდა ხდებოდა არასწორად, სხვა უნივერსიტეტიდან გადმოსვლის შემდგომ რექტორის ბრძანების საფუძველზე მას უნდა დარჩენოდა იგივე სწავლის საფასური, რაც იყო წინა უნივერსიტეტში, თუმცა ამის მიუხედავად დაწესებულება სთხოვდა მთლიანი საფასურის გადახდას; ასევე, მიუთითებდა (2) საბაკალავრო

ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებული კომუნიკაციის პრობლემაზე; (3) მობილობის პრობლემის შესახებ, თუმცა აღნიშნული განცხადებიდან რამდენიმე დღეში განმცხადებელმა მისწერა დამატებითი განცხადება, რომლითაც ითხოვდა წარმოების შეწყვეტას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, განაცხადა, რომ როგორც წერილში წაიკითხა სტუდენტს გაზაფხულის სემესტრში არ მისცეს უფლება დაეცვა საბაკალავრო ნაშრომი, თუმცა 2 დღეში დაწერა, რომ გამოსწორდა, მისი მოსაზრებით, ის რომ არ მისცეს უფლება დაეცვა ნაშრომი უკვე გულისხმობდა მისი უფლებების დარღვევას.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტმა, ანი ბილანიშვილმა, დასძინა, რომ დაცვის გარდა მიუთითებდა კომუნიკაციის პრობლემაზეც.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა, დაინტერესდა, ცენტრის მიერ მოხდა აღნიშნული საკითხის გამოძიება, თუ განმცხადებლის მიერ მეორე წერილის შემდეგ მოხდა წარმოების შეწყვეტა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტმა, ანი ბილანიშვილმა, განმარტა, რომ ვინაიდან აღნიშნულ განცხადებაში დაფიქსირებული იყო სისტემური და ინსტიტუციონალური პრობლემები და არა მხოლოდ ერთი სტუდენტის შემთხვევა, ცენტრს სურდა შეესწავლა აღნიშნული საკითხი, დაუკავშირდა განმცხადებელს, შესთავაზეს ონლაინ შეხვედრაც კონსულტაციების გაწევის მიზნით, თუმცა იგი კონტაქტზე აღარ გავიდა, შესაბამისად ცენტრთან ამ ფორმით თანამშრომლობაზე უარი განაცხადა, ცენტრს მხოლოდ აქვს მისი განცხადება, სადაც ითხოვდა წარმოების შეწყვეტას და არ ჰქონდათ სხვა ბერკეტი გარემოებების შესასწავლად. ცენტრის წარმომადგენლის ინფორმაციით, აღნიშნული დაწესებულება ამჟამად გადის ავტორიზაციას, ცოტახნის წინ იყო ვიზიტი და ცენტრი შეეცდება აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული იყოს და ექსპერტებმა შეძლონ აღნიშნულის გამოკვლევა.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, განაცხადა, რომ ეს იყო ძალიან მძიმე ბრალდება, საჩივარზე უარის თქმა არ ცვლის გარემოებას.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ ფაქტი მოწმობდა, რომ მიდგომა ასეთია.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა, დაინტერესდა, შეეძლო თუ არა ცენტრს გამოეთხოვა განმცხადებლის მიერ საბაკალავრო ნაშრომის დაცვის სხდომის ოქმი.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ანი ბილანიშვილმა, განმარტა, რომ კონკრეტულად ამ თემას/ადმინისტრაციულ წარმოებას ვერ გააგრძელებდნენ, რადგან თვითონ განმცხადებელმა მოითხოვა წარმოების შეწყვეტა, თუმცა ინსტიტუციური პრობლემის შესწავლის შესაძლებლობა რჩებოდათ მიმდინარე ავტორიზაციის პროცესი.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა, დაინტერესდა, იცოდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აღნიშნული საჩივრის შესახებ.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტმა, ანი ბილანიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ინფორმაცია განმცხადებლის იდენტიფიცირების გარეშე.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტმა, ანი ბილანიშვილმა, დააყენა შუამდგომლობა შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14:58 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 14:59 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 11 მაისის სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების, 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

4. შპს კავკასიის უნივერსიტეტზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვა;
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ.
ვინაიდან განმცხადებელი არ ესწრებოდა სხდომას სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს წარედგინა განსახილველი საკითხი.
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ანი ბილანიშვილმა, განაცხადა, რომ დაახლოებით იგივე სიტუაციაა, რაც წინა საკითხთან მიმართებით იყო, სტუდენტის განცხადება ეხებოდა მობილობის საკითხს, სტუდენტი აპირებდა მობილობით გადასვლას შპს კავკასიის უნივერსიტეტიდან შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმში, დაწესებულება კი არ გასცემდა მობილობის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტებს და განცხადებაში ასევე მითითებული იყო, რომ შეფერხება ეხებოდა არა მხოლოდ დედან დოკუმენტებს, არამედ მათ ასლებსაც და განმცხადებელი პირველ რიგში ითხოვდა განმარტებას, თუ რამდენად ჰქონდა დაწესებულებას ამის უფლება, ცენტრმა უფლების შესახებ განმარტება მისცა განმცხადებელს და მასთან ასევე ჰქონდათ სატელეფონო კომუნიკაცია, რადგან სხვა საკონტაქტო ინფორმაცია არ ჰქონდა მითითებული, განმცხადებელმა დაახლოებით ერთი კვირის ფარგლებში შეატყობინა ცენტრს საკითხის ამოწურვის შესახებ, თუმცა ამ შემთხვევაშიც ინსტიტუციური პოზიციის მოსასმენად მისწერეს დაწესებულებას, რომლის პასუხიც გაზიარებულია საბჭოსთვის წარდგენილ ფაილებში.
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტმა, ანი ბილანიშვილმა, დააყენა შუამდგომლობა შპს კავკასიის უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:00 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:02 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 11 მაისის სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების, 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს კავკასიის უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 11 მაისის, 15:05 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა